კოკისპირულ წვიმაში

დნეპროპეტროვსკი. “მეტეორის” სტადიონი. 8 აგვისტო.

“დნეპრი” (დნეპროპეტროვსკი) – “დინამო” (თბილისი) 4:2 (პენალტებით. ძირითადი დრო – 0:0).

“დნეპრი”: კოლტუნი, სკლიარი, ნაიდა, ბოგდანოვი, ფედორენკო, მასლოვი (პორკუიანი), გრინკო, ევსეენკო, ნაზაროვი, ხრისტიანი, რომანიუკი.

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ჭელიძე, ებრალიძე, ყიფიანი (გ. მაჩაიძე), მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია, ლ. ნოდია (წერეთელი).

მსაჯი: ვ. ჟარკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები – 5:0 “დნეპრის” სასარგებლოდ.

სამსაჯო ოთახში დიდი გაოცება გამოიწვია იმ ამბავმა, რომ საგანაცხადო სიაში თბილისის “დინამოს” სათადარიგო მეკარედ ჩაწერილი იყო ს. კოტრიკაძე. ამ გამოჩენილი მეკარის სახელი ყველამ კარგად იცის, მაგრამ მან ხომ რამდენიმე წელია დაანება თამაშს თავი. დინამოელთა ხელმძღვანელობამ აგვიხსნა, რომ ორივე სათადარიგო მეკარე ავად გახდა და საჭირო შეიქნა ვეტერანის კვლავ მწყობრში ჩაყენება.

თბილისელებს აკლდათ წამყვანი მოთამაშე ხურცილავა, რომელიც ტრავმის გამო ვერ გამოვიდა მინდორზე. მატჩის დაწყების წინ დნეპროპეტროვსკში კოკისპირული წვიმა წამოვიდა, რის გამოც მინდორი დამძიმდა, ატალახდა და თამაში ძალიან გაძნელდა. მიუხედავად ამისა, მატჩი თავიდანვე საინტერესოდ, დაძაბულად მიმდინარეობდა, აქტიურობდნენ თავდამსხმელები, ნახევარმცველებიც, ორივე კართან ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები. კოლტუნმაც და გოგიამაც სამართლიანად დაიმსახურეს როგორც მაყურებელთა საყოველთაო მოწონება, ისე მწვრთნელთა შეფასება “ფრიადი”. 88–ე წუთზე, მაგალითად, გოგიამ აიღო პორკუიანის მიერ რამდენიმე მეტრის მანძილიდან დარტყმული უძნელესი ბურთი.

თბილისელებმა განსაკუთრებით ძლიერად ჩაატარეს პირველი ტაიმი, მაგრამ ბურთის გატანის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს, შემდეგ მასპინძლებმა გამოასწორეს მდგომარეობა, თუმცა ვერც მათ შეძლეს ანგარიშის გახსნა. საჭირო შეიქნა პენალტების სერიის შესრულება. პირველი ოთხი დარტყმა კანთელაძემ, გრინკომ, ჭელიძემ და ფედორენკომ ზუსტად შეასრულეს. მერე თავი გამოიჩინეს მეკარეებმა. კოლტუნმა აიღო ებრალიძის დარტყმა, ხოლო გოგიამ – რომანიუკისა. შემდეგ ძოძუაშვილმა და მ. მაჩაიძემ ვერ შეძლეს ბურთების გატანა, ხოლო ნაიდამ და ბოგდანოვმა ზუსტად დაარტყეს. 1 ქულა წილად ხვდა “დნეპრს”.

უ. კორჟენკო (ტელეფონით, ჩვენი საკ. კორ.).

“ლელო”, 11 აგვისტო, 1973 წ.